პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ორგან ცკ კპ გრუზიი. ვერხოვნოგო სოვეტა გრუზინსკოი სსრ და სოვეტა მინისტროვ გრუზინსკოი სსრ

22 ივლისი ხუთშაბათი 1971 წელი 2 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 167 (15077)

ხუთწლეული — ვალდებულებანი!

ხალხური კონტროლი

კლანტაციებში

ზუგდიდის რაიონში არის საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობა. აქ ბევრი მოწინავე მეჩაიე მუშაობს. მაგრამ მათ შორის პირველად დაგისახელებენ 1968 წელს სიმწიფის ატესტატით მოსულ თალიკო თოდუას.

კომკავშირელი გოგონა მხარში უდგას წარჩინებულ მეჩაიეებს — მ. გაგუას, ე. არჩვაძეს, ც. ჭაჭუას, დ. გოგბერას და შესანიშნავ წარმატებებს აღწევს. უკვე მოკრეფილი აქვს 3,5 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 2,5 ტონისა.

მოწინავე ახალგაზრდა მკრეფავმა მტკიცედ გადაწყვიტა წელს მოკრიფოს 6 ტონა „მწვანე ოქრო" და ეს წარმატება მიუძღვნას საქართველოს კომკავშირის დაბადების 50 წლისთავს.

სურათზე: თ. თოდუა ჩაის პლანტაციაში.

ფოტო ა. ჩარქვიანისა.

პიონერული ზაფხული

პარტიის, ხალხის, სახელმწიფოს მშობლიური მზრუნველობით მუდამ იყო გარემოსილი ჩვენი ნორჩი თაობა, მაგრამ მას არასოდეს ისეთი დიდი მასშტაბები არ მიუღია, როგორც ჩვენს დროში. ეს ბუნებრივიც არის — დიადმა ხუთწლედებმა ყველა წინაპირობა შექმნეს ნორჩი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და ცხოვრებისათვის, გონივრული დასვენებისათვის, იმისათვის, რომ ვზრდიდეთ განათლებულ, ცხოვრებისათვის პრაქტიკულად მომზადებულ, ყოველმხრივ განათლებულ თაობას, კომუნიზმის მომავალ მშენებელ ადამიანებს.

ეს დასტურდება ჩვენი რესპუბლიკის მაგალითითაც. ყველა ტიპის 4500 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს მილიონზე მეტი მოსწავლე. მარტო მერვე ხუთწლედის პერიოდში მოსწავლეთა რიცხვი 120 ათასით გაიზარდა, ხოლო საშუალო სკოლების რიცხვი — 252-ით. ამ ციფრების გრანდიოზულობას მაშინ უფრო ნათლად წარმოვიდგენთ, როცა გავითვალისწინებთ, რომ რევოლუციამდე საქართველოში მხოლოდ ორმოცი საშუალო სკოლა იყო. მარტო გასულ ხუთწლედში საბიჭეტო ასიგნობათა ხარჯზე ათგან 243 სკოლის შენობა 103 ათასი მოსწავლისათვის, ამას უნდა მივუმატოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აშენებული 196 სკოლა 45 ათასი მოსწავლისათვის.

მშენებლები დიდი მზრუნველობით ეკიდებიან პატარებს — მათ განვლილ ხუთწლედში ააშენეს 129 სბავშვო ბაღი 17 ათასი ბავშვისათვის. დიდად გაჩაღდა სბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის სამუშაოები საბჭოთა საქართველოს საიუბილეო წელს.

რესპუბლიკის მშრომელები პარტიის, მთავრობის მითითებათა მიხედვით უდიდეს ყურადღებას აქცევენ მოზარდი თაობის ჯანმრთელობის საკითხს, მის ფიზიკურად სრულყოფილად აღზრდას, მის გონივრულ დასვენებას. ბეჯითი, დაძაბული სწავლის შემდეგ ნორჩი თაობის საუკეთესო დასვენება, მისი გონივრული ორგანიზაცია საშეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა, ამ დიდ საქმეში მუდამ უნდა იგრძნობოდეს პარტიული ორგანიზაციების ქმედითი დახმარება და საქმიანი ხელმძღვანელობა.

მიწყნარდა სკოლებში ნორჩთა ყრიამული. ახლა საზაფხულო არდადეგებია, გაჩაღებულია პიონერული ზაფხული.

ჩვენი მადლიანი ბუნება — მთა და ბარი, ზღვა და ტბები, მდინარეები და ნაკადულები, მზე და პაერი ხელს გვიწყობს, რომ ნორჩთა დასვენება და გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი საუკეთესოდ წარვმართოთ.

პიონერულ ბანაკებში, ბავშვთა დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში, ტურისტულ სადგურებსა და საექსკურსიო ბიუროებში ერთი დღეც არ უნდა დაიკარგოს უშედეგოდ, ისე, რომ იგი ბავშვებისათვის კეთილმოსაგონრად არ დარჩეს, ბავშვთა გაჯანსაღებას, აღზრდას, ფიზკულტურულ მომზადებას, კულტურულ დასვენებას არ ემსახურებოდეს.

რესპუბლიკაში ჭეშმარიტად დიდი მუშაობაა გაწეული ბავშვთა დასვენება-გამოჯანსაღების საუკეთესოდ დაყენებისათვის. არასოდეს არ ყოფილა ასე ფართო პიონერული ბანაკების ქსელი; წელს სხვადასხვა სახის პიონერთა ბანაკში 82 ათასამდე ბავშვი დაისვენებს. 16 საქალაქო ბანაკში მოემსახურებიან იმ ბავშვებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზებით ადგილზე რჩებიან. ბავშვების განკარგულებაშია საუკეთესო კურორტებზე გაშლილი ბანაკები. საზაფხულო არდადეგები ბავშვთა მარტო გართობა-დასვენება როდია. გონივრული, პედაგოგიურად და მედიცინის თვალსაზრისით კარგად გააზრებული და დაგეგმილი ღონისძიებანი საზაფხულო არდადეგებს სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანულ გაგრძელებად აქცევს. კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს ამ პერიოდში ჭეშმარიტად ფართო ასპარეზი ეთმობათ თავიანთი მასობრივი მუშაობის გასაშლელად. ეს პერიოდი ხომ საუკეთესოა მოსწავლეთა შორის მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული თამაშობების, შეჯიბრებათა გასაჩაღებლად, იმისათვის, რომ რაზმიელთა ხალისით ჩავაბათ საკავშირო მარშში: „მუდამ მზად ვართ!", რომელიც ეძღვნება პიონერთა ორგანიზაციის მოახლოებული 50 წლისთავის იუბილეს, აგრეთვე იმისათვის, რომ ბავშვებმა მონაწილეობა მიიღონ საბჭედრო-სპორტულ თამაშ „ცისკარში".

ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკურ სადგურს, ჩვენს სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს კარგი გამოცდილება აქვთ შეძენილი ბავშვთა შორის მასობრივ მუშაობაში. ეს გამოცდილება წელს უფრო უნდა გამდიდრდეს. ძნელად ნახავთ საქართველოში ისეთ სოფელს, კოლმეურნეობას, სადაც არ იყოს დიდი სამამულო ომის გმირთა და შინმოუსვლელთა სტენდები თუ სხვა რამ ღირსსახსოვარი კუთხე. ყოველივე ეს მშვენივრად გამოდგება ბავშვთა, მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საშუალებებად.

ყოველი გონივრული ღონისძიებებით უნდა ჩავუნერგოთ ნორჩებს სიამაყის გრძნობა თავისი სამშობლოსათვის, თავისი ხალხისათვის, მისი დიადი მიღწევებისათვის, ჩავუნერგოთ პატივისცემა თავისი ქვეყნის წარსულის ღირსეული ფურცლებისადმი. ხელი უნდა შევუწყოთ მოსწავლე ახალგაზრდების ისეთ ინიციატივას, როგორიც არის მასობრივი ლაშქრობების მოწყობა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში, ექსკურსიები ხუთწლედის ობიექტებზე, შეხვედრები შრომისა და ბრძოლის ვეტერანებთან, ძველ ბოლშევიკებთან, საინტერესო საუბრები ჩვენი სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე....

შარშან რედაქციაში არაერთი სიგნალი შემოვიდა იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ პიონერთა ბანაკში მოუგვარებელი იყო სამედიცინო მომსახურება, კვება, ბავშვთა მეთვალყურეობა. მსგავსი ფაქტები არ უნდა მოხდეს. ყველაფერი ბავშვებისათვის, მშობლიური ზრუნვა მათდამი! — აი რა უნდა გვამოძრავებდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ასრულებენ, პარტიული ორგანიზაციები მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ მოსწავლეებში გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ახლა მთავარია ვიზრუნოთ ამ ღონისძიებებით მინიჭებული სიკეთის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, კომკავშირელები, პიონერხელმძღვანელები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების თანამოქმედებით ბევრ რამეს გააკეთებენ ბავშვთა ჯანმრთელობის და დასვენების ორგანიზაციისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს უფროსკლასელ მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაცია შრომისა და დასვენების მონაცვლეობით.

ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ლენინური ზრუნვის ნათელი დადასტურება იქნება მომდინარე პიონერული ზაფხული, ის კეთილი სამსახური, რასაც ნორჩ თაობას გაუწევენ ჩვენი პიონერული ბანაკები, ტურისტული სადგურები, სანატორიუმები, კურორტები, ჩვენი ტყეები და ველ-მინდვრები, წყალი და მზე, სტადიონები და პარკები, მოედნები და სპორტული დარბაზები.

წლევანდელი პიონერული ზაფხული უნდა გამოირჩეოდეს წინანდელებისაგან, იგი ყოველმხრივ უკეთესი უნდა იყოს ბავშვთა გონივრული გართობა-დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის მხრივ.

ბედნიერება, სიხარული, საუკეთესო პიონერული ზაფხული, ბავშვებო!

მიფრინავს „კოსმოს-429"

20 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-429". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკდესი).

ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავს ესტონეთის კომუნისტებს და მთელ ესტონელ ხალხს ესტონეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის გახსნისა და ესტონეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს.

ესტონეთის კომუნისტური პარტია, რომელიც 1920 წლის ნოემბერში შეიქმნა, ესტონეთის პროლეტარიატის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა მემკვიდრეა და მთელ თავის საქმიანობაში მტკიცედ იდგა და დგას რევოლუციურ მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე.

მას შემდეგ, რაც დიდი ოქტომბრით შობილი ესტანადიის შრომის კომუნა ჩაახშეს საერთაშორისო იმპერიალიზმისა და ეროვნული ბურჟუაზიის ძალებმა, ესტონეთის კომუნისტურ პარტიას იარაღი არ დაუყრია. იატაკქვეშეთისა და ტერორის მძიმე პირობებში იგი მამაცურად ჩაუდგა სათავეში ბრძოლას შრომელთა განთავისუფლებისათვის. საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალური მხარდაჭერით 1940 წლის ივლისში ამ ბრძოლის შედეგად დამხო ბურჟუაზიული დიქტატურა და ესტონეთში აღდგენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლება. ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით შეურთდა საბჭოთა ხალხების დიდ ოჯახს და მათი ძმური დახმარებით განაახორციელა ძირეული სოციალისტური გარდაქმნანი.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ესტონეთის შვილები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებულად იბრძოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. რესპუბლიკის კომუნისტები დიდ მუშაობას ეწეოდნენ მტრის მოსაგერიებლად.

ომისშემდგომ პერიოდში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მთელი მეცადინეობა წარმართა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ესტონელი ხალხის თავდადებული შრომის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მჭიდრო მეგობრობისა და ურთიერთდახმარების, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად საბჭოთა ესტონეთი არსებობის 31 წლის მანძილზე გადაიქცა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

დღეს ესტონეთის კომუნისტები რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითს ენერგიას წარმართავენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის. ესტონეთის კომუნისტური პარტია მშრომელ მასებს ხრდის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ესტონეთის კომუნისტური პარტია კვლავაც წაუძღვება რესპუბლიკის მშრომელებს დიდი ლენინის მიერ დასახული გზით, მოიპოვებს ახალ გამარჯვებებს კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

გაუმარჯოს ესტონეთის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლენინურ ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 21 ივლისს კრემლში მიიღო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტერი ლ. რინჩინი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

გამართული საუბრის დროს მხარეებმა განიხილეს სსრ კავშირსა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების საკითხები, აგრეთვე აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

აზრთა ურთიერთგაზიარებამ, რომელიც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, კვლავ დაადასტურა აზრთა ერთიანობა ყველა განხილულ საკითხზე. (საკდესი).

ძმური შეკავშირება და სოლიდარობა

20 ივლისს მეტრომშენის კულტურის სასახლეში გაიმართა კრება, რაც მიეძღვნა ვიეტნამის დღეს და საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობის ერთთვიურს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ს. ძოწენიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვა და სხვები. აქვე იყვნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნგუენ თხო ტიანი, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში დანგ კუანგ მინი, ვიეტნამელ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის წევრის ლე თხი სუნინის მეთაურობით.

ვიეტნამელ ამხანაგებს გულითადად მიესალმა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი რ. თ. დემენტი

ფართო გზა კომპლექსურ მექანიზაციას

თვითთეულ ძლიერეურნეობასა და სოფჭოთა მეურნეობას უნდა კარგად ფარმეგის მექანიზაციის ხუთწლიანი გეგმა

რესპუბლიკაში გაჩაღდა უმაგალითო მასშტაბის მუშაობა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დიდ და მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მათი საქმიანობის შედეგებზე ბევრად არის დამოკიდებული ახალი ხუთწლედის თავადარი ამოცანის შესრულება — მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. მეცხოველეობის პროდუქცია ხომ ყველის პროდუქტებიც არის და მსუბუქი და ყველის მრეწველობის ნედლეულიც.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, პროდუქციის წარმოებას სამრეწველო საფუძველზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა მთელი ძალით დასვა საკითხი, რომ უნდა დაჩქარდეს შრომატევადი პროცესების მექანიზაციის ტემპი მეცხოველეობის ფერმებში, განხორციელდეს კომპლექსური მექანიზაცია ტიპობრივი პროექტებით აშენებულ ფერმებში. სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ", რაიონალმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა უნდა შეიმუშაონ თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის ხუთწლიანი გეგმები.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ მხოლოდ ფერმების აღჭურვა ტექნიკით შრომის არსებული მეთოდების შეუცვლელად უსარგებლოა. ახლა საქმე ეხება არა მარტო ფერმების აღჭურვას მექანიზმებითა და მანქანებით, არამედ აგრეთვე მათს უნარიანად გამოყენებას, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებას, შრომის საყოფიერების მკვეთრ ზრდას, თვით მეცხოველეთა შრომის ხასიათის შეცვლას. ეს ფაქტორები აისახება ფერმების მექანიზაციის ხუთწლიან გეგმებში, რომლებსაც ახლა ადგენენ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ, ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ, ᲗᲝᲠᲯᲝᲚᲘᲡ, ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲗ

უკვე შეადგინეს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის ხუთწლიანი გეგმები. გაიმართა ამ რაიონების კოლმეურნეობების წევრთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საერთო კრებები, რომლებშიც მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროთა სპეციალისტები, „საქსოფლტექნიკის" რაიონულ განყოფილებათა მექანიზატორები, მეცნიერები, კრებებმა დაწვრილებით განიხილეს და დაამტკიცეს თავიანთი მეურნეობების ფერმების მექანიზაციის გეგმები. ქვემოთ მოგვყავს გეგმების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პუნქტები.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონი ერთ-ერთი წამყვანია რესპუბლიკაში მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ.

რაიონის გეგმით გათვალისწინებულია, რომ მეცხოველეობის ფერმების კომპლექსური მექანიზაცია დამთავრდება უახლოეს სამ წელიწადში. შეიქმნა ძროხების მანქანებით წველის 48 ბრიგადა, რომლებსაც აქვთ 56 საწველი აგრეგატი სულ ფერმებში 7.689 ძროხაა, რომელთაგან 6.000-ს მანქანებით წველიან. გათვალისწინებულია, რომ მომავალ წელს მანქანებით მოწველონ ყველა ძროხა. 1973 წელს მექანიზებულად დაურგებენ საკვებს 22.350 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. ამკვამად მექანიზებულად საკვებს აწვდიან მხოლოდ 1.190 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. უახლოეს სამ წელიწადში ერთიანამად გაიზრდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომები და ნაკელის მექანიზებული გატანა. ავტომატურად მიაწვდიან წყალს, ამავე პერიოდში 23.000 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, 20.700 სულით მეტს, ვიდრე ახლა.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონი

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონი ერთ-ერთია ᲠᲘᲗᲐᲡ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲗ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲗ ᲓᲘᲓ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ. ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲝᲔᲑᲘ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲒᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ, ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ.

ᲞᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ 1973 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 1.190 ᲡᲣᲚ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲤᲔᲮᲐ ᲠᲥᲘᲐᲜ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ. ᲣᲐᲮᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲬᲚᲘᲡᲬᲘᲜᲓᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲡᲐᲛᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲤᲔᲮᲐ ᲠᲥᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ. ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲐᲬᲕᲓᲘᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲡ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲞᲘᲠᲘᲝᲓᲨᲘ 23.000 ᲡᲣᲚ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲤᲔᲮᲐ ᲠᲥᲘᲐᲜ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ, 20.700 ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲮᲚᲐ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲤᲔᲮᲐ ᲠᲥᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲝᲛᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ. ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲐᲬᲕᲓᲘᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲡ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲞᲘᲠᲘᲝᲓᲨᲘ 23.000 ᲡᲣᲚ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲤᲔᲮᲐ ᲠᲥᲘᲐᲜ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ, 20.700 ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲮᲚᲐ.

ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲛᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ 4.300 ᲢᲝᲜᲐ ᲮᲠᲩᲘ, ᲮᲚᲝᲛ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 5.000 ᲢᲝᲜᲐ, 1975 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲫᲠᲝᲜᲘᲡ ᲬᲕᲘᲚᲐᲓᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ 2.500 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲐᲛᲓᲔ.

ᲖᲔᲛᲝ ᲛᲐᲠᲯᲕᲐᲜᲘᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲖᲔᲛᲝ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲝᲜᲔ, ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲝᲜᲔ, ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ. ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐᲡ ᲛᲐᲪᲘᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲐᲗᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲗᲠᲘ ᲖᲠᲓᲐᲡ, ᲡᲐᲛᲬᲕᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ. ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲣᲬᲔᲡᲠᲘᲒᲝᲑᲐᲐ.

ᲐᲕᲘᲦᲝᲗ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲐᲡᲘᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ: 11 ᲡᲐᲐᲗᲨᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲡᲐᲓᲘᲚᲘ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲛᲗᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲠᲫᲘ. ᲐᲮᲚ ᲗᲔᲗᲠᲨᲘᲤᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲭᲘᲥᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲝᲑᲐᲐ. ᲛᲓᲘᲠᲒᲕᲘ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲖᲔ ᲣᲡᲮᲘᲐᲗ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲭᲘᲥᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲒᲐᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲜᲘᲡ, ᲭᲘᲥᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲒᲐᲡ ᲙᲘᲠᲘᲜᲘᲡ, ᲭᲘᲥᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲡᲘᲡᲘᲗᲐᲛᲑᲐ, ᲭᲘᲥᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲝᲜᲔ, ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲘ. ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐᲡ ᲛᲐᲪᲘᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲐᲗᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐᲡ. ᲘᲒᲘ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ Ს. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲒᲐᲠᲛᲝ „ᲐᲒᲠᲝᲛᲐᲨᲘᲜᲐᲘᲛᲐᲪᲘᲚᲘ".

ᲓᲐᲛᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲨᲣᲠᲯᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲪᲘᲐ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲛᲐ „ᲒᲣᲚᲒᲐᲠ-ᲢᲚ-30 Ა", ᲛᲘᲡᲐᲑᲛᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲘᲜᲘᲐᲜᲛᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘᲡ ᲕᲔᲚᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲭᲠᲘᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ 1,5 ᲛᲔᲢᲠᲖᲔ, ᲡᲐᲬᲕᲘᲛᲐᲠᲛᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲛᲐᲠᲘᲪᲐ-31"-ᲛᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲭᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ.

ᲤᲝᲢᲝ Დ. ᲡᲐᲓᲐᲠᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

პროპაგანდის ᲛᲔᲗᲝᲓᲘ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠ-ᲡᲘᲛᲘᲜᲐᲠᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში ოთხ დღის მიმდინარეობდა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების ბიბლიოთეკების გამგეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა პარტიული ბიბლიოთეკების ამოცანებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგემ ვ. კაჭარავამ.

მოხსენება თემაზე — „იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე" გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ დ. გოგოხიამ.

ლექციები წაიკითხეს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის გამგის მოადგილემ რ. დოღონაძემ — „სკკპ XXIV ყრილობა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები", საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის ბიბლიოთეკის გამგემ მ. მამულაშვილმა — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები და პარტიული ბიბლიოთეკების ამოცანები", კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეთოდისტებმა გ. ბერულავამ და ს. პოლუზუბოვლემა — „საქმეანიერო-ტექნიკური პროგრესი და ბიბლიოთეკების ამოცანები" და „ბიბლიოთეკებში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის შესახებ", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინფორმაციის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგემ გ. რუხაძემ — „პარტიული ბიბლიოთეკები პოლიტიკური განათლების სამსახურში", თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა ო. ოსაძემ — „პარტიულ ბიბლიოთეკებში ბიბლიოგრაფიული აპარატის ორგანიზაცია პოლიტიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით", საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის ბიბლიოთეკის გამგემ თ. ნატროშვილმა — „მკითხველთა მომსახურების ფორმები და მეთოდები".

რესპუბლიკური თათბირ-სემინარის უკანასკნელი დღე მიეძღვნა პარტიული ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილების გაზიარებას. სემინარის მონაწილეები გაეცნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის „პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკის მუშაობას, იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. (საქდესი).

□ □

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲣᲑᲐᲜᲘᲐ

განა ქალალდებით შეკეთდება?!

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ისე არ გავა, რომ წულუკიძის რაიონს სკოლის ახალი შენობა არ შეემატოს. ქ. წულუკიძეში ახლა რიგით მეოთხე საშუალო სკოლას აშენებენ. მისი 3-სართულიანი შენობა, რომელსაც დიდი სპორტული დარბაზიც ექნება, უკვე გადახურულია და შიგ მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს. ქუთაისის № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის წულუკიძის მე-5 სამმართველოს (უფროსი რ. ხაჭაპურიძე, სამუშაოთა მწარმოებელი შ. უუფარაძე) მშენებლობის მიერ აღებული ტემპი მოწმობს, რომ ახალ სკოლას ზარის დარეკვამდე გადასცემენ სოფქსლოატაციოდ, ამავე სამმართველოს მშენებლები მაღალმთიან სოფელ ძეძილეთში აგებენ ახალ საშუალო სკოლას, რომელსაც მომავალ წელს ჩაბარებენ.

ახალი სკოლების მშენებლობისადმი სამღერარავი არ თქმის, მაგრამ სამწუხაროდ, ასე ვერ ვიტყვით სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების რემონტზე, რასაც კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წულუკიძის სარემონტო-სამშენებლო უბანი (უფროსი ხ. ხუციშვილი) აწარმოებს.

სოფელ დედალაურის საშუალო სკოლისათვის 6 საკლასო ოთახის მშენება, რაც შარშან დაიწყეს, ახალი სასწავლო წლისათვის უნდა დამთავრდეს. მაგრამ, საეჭვოა საქმეს ამ დროისათვის მორჩნენ. გამოყოფილი 8.000 მანეთიდან აღნიშნული უბნის მშენებლებს (სამუშაოთა მწარმოებელი ლ. აბრამია) 1 ივლისისათვის მხოლოდ 2.898 მანეთი, ანუ თანხის 36 პროცენტი ჰქონდათ ათვისებული.

სოფელ ქუტირის დაწყებითი სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. თუმცა სკოლის აგება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმაში შეიტანეს, საშენ მასალებს ახლა ეძებენ, და ცხადია, ამ საქმეს წელს ვერ ასწრებენ.

მშენებლებს სოფლების ზედა კინჩხის, ქვედა კინჩხის, რონდინის, ბესიაურისა და ჩუნეშის დაწყებითი სკოლების რემონტი 12 ივლისისათვის დაწყებულიც არა ჰქონდათ.

სოფელ მათხოჯის საშუალო სკოლაში წელს ცენტრალური ეზოთობის მოწყობა უნდა დაამთავრონ. მშენებელ-მემონტაჟეები აცხადებენ, ამ საქმისათვის გამოყოფილი 9.000 მანეთი საკმარისი არ არის და საჭიროა დამატებითი თანხის გამოყოფაო. ეს მართალია, მაგრამ იმაზე რაღას იტყვიან, რომ დღემდე გამოყოფილი თანხიდან მხოლოდ 5.300 მანეთია ათვისებული და „საქსანტექმშენის" ქუთაისის უბნის (უფროსი ს. კვანტალიანი) მემონტაჟეებს 4-დან 10 ივლისამდე — მთელი კვირა — არ უმუშავნიათ. სკოლის ოთახებში რადიატორები დაამონტაჟეს, მაგრამ საქვაბის მშენებლობა არ დაუწყიათ.

მათხოჯში არის აგრეთვე საბავშვო ბაღი, რომელიც გადაუდებელ რემონტს მოითხოვს. თუმცა ამ საქმისათვის ისედაც მცირე თანხა—1.500 მანეთი გამოუყვეს, მაგრამ მშენებლებს, როგორც იტყვიან, დღემდე თითიც არ გაუნძრევიათ.

სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები საქმეს უგულოდ რომ ეკიდებიან, ამას ქ. წულუკიძის № 1 საბავშვო ბაღის რემონტის მაგალითიც ცხადყოფს.

საქმე იმით დაიწყო, რომ წულუკიძის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ერთობ დაგვიანებით, მიმდინარე წლის 14 მაისს დაამტკიცა აღნიშნული ბაღის რემონტის ხარჯთაღრიცხვა, რომელითაც შენობის შეკეთებისა და სანტექნიკური სამუშაოებისათვის 5.198 მანეთია გათვალისწინებული.

რაკი წულუკიძის სარემონტო სამშენებლო უბანს სანტექნიკური სამუშაოების შესრულება თვითონ არ შეუძლია, უბნის უფროსმა ზ. ხუციშვილმა თავის მხრივ კიდევ დაგვიანებით — 3 ივნისს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „საქკომუნრემმშენის" მმართველს ი. თოფაძეს მისწერა, საბავშვო ბაღის სანიტარული კვანძის მოსაწყობად შესასრულებელია მხოლოდ 1.500 მანეთის სამუშაო და გთხოვთ თქვენი ჩარევით ეს საქმე „საქსანტექმშენის" ქუთაისის უბ

საყოველთაო მოვიდოგა გადამწყვეტი მიმართულებაა

ა. ა. გრომიკოს წერილი უ ტანს

სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXV სესიამ მიიღო დეკლარაცია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების შესახებ. ამ დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წინადადება ეძლევა წარმოედგინა გენერალური ასამბლეის XXVI სესიისათვის მოხსენება აღნიშნული დეკლარაციის შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. ამასთან დაკავშირებით უ ტანის შეკითხვის პასუხად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მას გაუგზავნა წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია შემდეგი.

საბჭოთა მთავრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიაჩნია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვან ინსტრუმენტად და სურს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხედავდეს ეფექტიან და ავტორიტეტულ ორგანოს, რომელიც თავის ღონისძიებებს მიმართავს მთავარი მიზნის განსახორციელებლად, რისთვისაც იგი შეიქმნა.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წიაშე ეკონომიურ, სოციალურ და სხვა დარგებში დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა უშალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება ორგანიზაციის ცენტრალური ამოცანა — საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ამოცანა, მშვიდობისადმი საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის და აგრესიის აქტების აღმოფხვრის ამოცანა.

როგორც საერთო მიმართულება საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკისა, ისე მისი კონკრეტული საქმენი, ნათქვამია წერილში, მოწმობენ მის მტკიცე გადაწყვეტილებას იღვწოდეს დეკლარაციის ყველა დებულების პრაქტიკული განხორციელებისათვის. მშვიდობის აქტიური დაცვის პოლიტიკა საბჭოთა მთავრობის უცვლელი კურსია მთელი მისი ისტორიის მანძილზე. ამან ახალი დადასტურება ჰპოვა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის იმ კონკრეტული პროგრამით, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV კრებამ დაამტკიცა.

შემდეგ წერილში აღნიშნულია, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში პირველ ადგილზეა ინდოჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთში არსებული ომის კერების ლოკვიდაციის, ომის ახალი კერების თავიდან აცილების ამოცანა.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ომის კერები ინდოჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთში შეიძლება ლოკვიდირებულ იქნას და კიდევაც უნდა იქნას ლოკვიდირებული ისეთი მოწესრიგების საფუძველზე, რომელიც მთლიანად გაითვალისწინებს იმ სახელმწიფოთა და ხალხთა კანონიერ უფლებებს, რომლებმაც აგრესია განიცადეს, დეკლარაციაში დადასტურებული ხალხთა იმ უფლებების საფუძველზე, რომ გარედან ჩაურევლად განსაზღვრონ საკუთარი ბედი.

საბჭოთა მთავრობა გადაჭრით მოითხოვს შეწყდეს იმპერიალისტური აგრესია ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ. ინდოჩინეთის პრობლემების გადაჭრისათვის კონსტრუქციული საფუძველია ცნობილი წინადადებანი, რომლებიც წამოაყენეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა რევოლუციურმა მთავრობამ, კამბოჯის ეროვნულმა ერთიანობა ფრონტმა, ლაოსის პატრიოტულმა ფრონტმა.

როგორც უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი შუამავალი წარ-ჩ, რომელმ ს ა ც ეხება დეკლარაციის მოწოდება — გააკრიტიკონ ღონისძიებანი საერთაშორისო შვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის საბჭოს მთავარი პასუხისმგებლობის განსახორციელებლად, საბ-ჭოთა კავ შ ირ ი მოითხოვს პოლიტიკურ მოწესრიგებას ახლო აღმოსავლეთში უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის ყველა ნაწილისა და დებულების შესრულების საფუძველზე. საბჭოთა მთავრობა, საზრასმულია შემდეგ, მზად არის, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრ სხვა სახელმწიფოებთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების საერთაშორისო გარანტიების შექმნაში.

წერილში ნათქვამია, რომ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საჭიროა მტკიცედ და დაუყოვნებლივ უკუვაგდოთ აგრესიისა და საერთაშორისო თვითნებობის ყოველი აქტი. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამ მიზნით საჭიროა მოლიანად გამოყენებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაძლებლობებიც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანობისა და ავტორიტეტის სერიოზული ამაღლებისათვის

დიდი მნიშვნელობა ექნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნამდვილი უნივერსალობის უზრუნველყოფას. ამას ხელს შეუწყობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ჩანაცვლების გაძვება ორგანიზაციიდან.

საჭიროა გადაუდებლად დადებითად გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ორივე გერმანეთი სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიღების საკითხი. დროა ბოლო მოეღოს დისკრიმინაციულ პრაქტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოვალეა შეწყვიტოს უკანონო ჩარევა კორეელი ხალხის საშინაო საქმეებში, დაუყოვნებლივ გადაწყვიტოს ამერიკის და უცხოეთის სხვა ჯარების გამოყვანის საკითხი. ამ ბოლო მოეღოს დისკრიმინაციულ პრაქტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოვალეა შეწყვიტოს უკანონო ჩარევა კორეელი ხალხის საშინაო საქმეებში, დაუყოვნებლივ გადაწყვიტოს ამერიკის და უცხოეთის სხვა ჯარების გამოყვანის

ლება, რომელიც განამტკიცებს და განავითარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამის დებულებებს, ადგილ ყოველ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოთა ჯგუფთან.

შემდეგ წერილში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფას. საბჭოთა კავშირი, ხაზგასმულია წერილში, ახორციელებს რა ხაზს იმ ტერიტორიულ ცვლილებათა საბოლოოდ ცნობისათვის, რომლებიც ევროპაში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად, ითვალისწინებს ყველა სახელმწიფოს, ყველა ხალხის ინტერესებს.

დიდმნიშვნელოვანი როლი ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობის უზრუნველყოფაში უნდა შეასრულოს ხელშეკრულებამ, რომელსაც სსრ კავშირმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს 1970 წლის აგვისტოში. საბჭოთა კავშირი კვლავ დაბეჯითებით ახორციელებს ღონისძიებებს ევროპის ვითარების გაუჯობესებისა და როგორც ორმხრივ, ისე სრულიად ევროპის საფუძველზე თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

ეხმაურება რა დეკლარაციის მოწოდებას ხელი შევუწყოთ კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნას სამხედრო კავშირების გარეშე, საბჭოთა კავშირმა დაადასტურა, რომ თანახმაა ერთდროულად გაუქმდეს ვარშავის ხელშეკრულება და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი ან — როგორც პირველი ნაბიჯი — გაუქმდეს მათი სამხედრო ორგანიზაციები.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, ნათქმია შემდეგ წერილში, წარმოუდგენელია გამალებული შეიარაღების შეკავებისა და შეზღუდვის, მისი შეწყვეტის გარეშე. საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს დეკლარაციის მიმართვას ყველა სახელმწიფოსადმი, განსაკუთრებით ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოებისადმი, განახორციელონ სასწრაფო და შეთანხმებული ღონისძიებანი გამალებული შეიარაღების შეკავების, შეზღუდვისა და სრული შეწყვეტის დარგში საბჭოთა კავშირის მიერ 1971 წლის აპრილში წამოყენებული განიარაღებისა თ ვ ი ს ბრძოლის ფართო პროგრამის საფუძველზე.

წერილში აგრეთვე ნათქვამია, რომ საჭიროა განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ჯერ კიდევ შემორჩენილი კოლონიური რეჟიმების ლიკვიდაციის, რასიზმისა და აპარტეიდის, მისი ყველა ფორმისა და გამოვლინების საყოველთაო დაგმობისა და ბოიკოტის შესახებ.

შემდეგ წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ისეთი პრობლემების გადაწყვეტაში, როგორიც არის ბუნებრივი გარემოს დაცვა, ენერგეტიკული და სხვა ბუნებრივი რესურსების ათვისება, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება, ყველაზე სამი და გა-[illegible] ოკეანისა, კოსმოსი, ოკეანეთა [illegible] და მსოფლიო ოკეანის [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ახალი სტარტები, ახალი შედეგები

ლიდერთა მეხუთე სატურნირო დავა

მოსკოვი. 21 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). გაბნელო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის კიდევ ერთმა დღემ, რომელმაც ქულათა საერთო რაოდენობის მხრივ ერთგვარი ცვლილება შემატა ამა თუ იმ კოლექტივის მაჩვენებლებს, მაგრამ მათი სატურნირო მდგომარეობა იმ ცხრილში, რომელიც ასახავს რესპუბლიკათა, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის სატურნირო მდგომარეობას, ძირითადად უცვლელი რჩება.

თანამედროვე ხუთჭიდელებს დღეს საღამოს ფინიში ჰქონდათ. უკანასკნელის წინა შეხვედრები მოეწყო ცურვაში. ამ სახეობაში ყველაზე მეტი ქულა აღმოაჩნდა რსფსრ-ის გუნდს — 3.376. მომდევნო სამი ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს უკრაინის, მოსკოვისა და ბელორუსიის გუნდებმა. საქართველოს გუნდის შედეგი დ. ბაღლია — 2877 ქულით მეთოთხმეტე ადგილი. პირად ჩათვლაში (ცურვა) უძლიერესი იყო ვ. შმელიოვი (რსფსრ). როგორია მეოთხე სახეობის შემდეგ თანამედროვე ხუთჭიდელთა სატურნირო მდგომარეობა? უძლიერესთა სამეულში ვხედავთ რსფსრ-ის, ყაზახეთისა და მოსკოვის გუნდებს. საქართველოს გუნდის შედეგი არასახარბიელოა — მე-10. ძნელი დასაჯერებელია, რომ მძლეოსნურმა კროსმა ჩვენი გუნდის მდგომარეობა გამოასწოროს.

ცსკა-ს სპორტის სასახლის ძალოსნობის დარბაზში ქვესაშუალო წონის მტანგისტთა ზოგიერთი სიურპრიზის მოწმენი ვიყავით. მაგალითად, ისეთი აღიარებული ძალოსანი, როგორიც არის მსოფლიო რეკორდსმენი ვ. კურენცოვი (რსფსრ), შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან თავისივე შეკვეთილი საწყისი წონა — 150 კგ აჭიმვაში ვერ დაძლია. ასევე მოუვიდა მის თანაგუნდელს ა. მაკეევს. მას სურდა შეჯიბრება 155 კილოგრამით დაეწყო, მაგრამ ვერ შეძლო მისი დაძლევა. სპარტაკიადის ჩემპიონს სახელი დაიმსახურა რსფსრ-ის წარმომადგენელმა ვ. კანიგინმა. სამჭიდაო მისი შედეგი იყო 460 კგ. ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ ვ. მისაილოვი და ა. გალკინი (ორივე უკრაინა). თვითეულმა მათგანმა სამჭიდაო 455 კილოგრამი შეაგროვა. საქართველოს კალოსანი დ. ბაბაძე 427,5 კილოგრამით მეცხრე ადგილზე აღმოჩნდა. მაგრამ ამ წონითს კატეგორიაში იყო სხვა მნიშვნელოვანი შედეგიც, მაგალითად, მესამე ადგილზე გამოსულმა უკრაინელმა ა. გალკინმა აკვრაში (175 კილოგრამი) და სამჭიდაოში (455 კილოგრამი) აჩვენა მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდები იუნიორთა შორის. დღეისათვის ლიდერობს რსფსრ-ის კოლექტივი — 55 ქულა. საქართველოს გუნდი 25 ქულით მეხუთე ადგილზეა. პაერორუსიის გუნდი კი 21 ქულით მეექვსეა.

ხელბურთელებს, ფრენბურთელებს და მოჭიდაოებს ჯერჯერობით წინასწარი შეხვედრები აქვთ ქვეჯგუფებში, მორიგი მატჩების შედეგები ხელბურთში ასეთი იყო. მაქმები: უკრაინა—საქართველო — 24:14 (9:4), ლენინგრადი—უზბეკეთი 22:27, ბელორუსია — ლატვია 15:14, მოსკოვი — მოლდავეთი — 22:12; ქალები რსფსრ —უზბეკეთი 14:6, ლენინგრადი — ბელორუსია — 14:15, ყირგიზეთი—მოლდავეთი — 20:23. ფრენბურთელთა მორიგი მატჩები ასე დამთავრდა: მაქმები — ლიტვა—უზბეკეთი 1.3, სომხეთი—თურქმენეთი 2:3, ყაზახეთი — მოლდავეთი 3:0, საქართველო—ყირგიზეთი 3:0. ლენინგრადი — აზერბაიჯანი 3:1. მოსკოვი—ბელორუსია 3:1, უკრაინა—რსფსრ — 3:2. საქართველოს ქალთა გუნდი დამარცხდა რსფსრ-ის ძლიერ კოლექტივთან მეხვედრაში 0:3. მორიგი გამარჯვება მოიპოვეს მოსკოველებმა. მათ მოუგეს ლიტვის გუნდს 3:0. ფაღლბურთელთა ძლიერი კოლექტივები ჰყავთ მოსკოვს, ლენინგრადს, საქართველოს, უკრაინასა და აზერბაიჯანს. მოსკოველებმა დიდი ანგარიშით 10:0 დაამარცხეს თურქმენეთის გუნდი. აზერბაიჯანელებმა მოუგეს სომხეთის გუნდს — 8:2. უკრაინელებმა — ბელორუსიის ნაკრებს 6:0, ლენინგრადელებმა — ლიტვის გუნდს 7:2.

რიგაში დასასრულს უახლოვდება აფროსანთა შეხვედრები. „ფინის“ კლასში მესამე რბოლის შემდეგ მოსკოველი ლ. ბალაშოვი ლიდერობს. საქართველოს აფროსანი ზ. ხუხუა მეხუთე ადგილზეა. სხვა სახეობებში ჩვენი რესპუბლიკის აფროსნები 8 უძლიერესში არ არიან.

დღევანდელი სტარტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, როგორც ცნობილია, სპორტის ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენებს საერთაშორისო არენაზე დიდი ტრადიცია აქვთ და ასპარეზობაც მიმზიდველი იქნება, მით უმეტეს, რომ მეტოქეები გამოვლენ ახალი პროგრამით, კომბინაციებით, რომლებიც ნავარაუდევია მიუნხენის ოლიმპიური ასპარეზობისათვის.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მოსკოვის ნაკრები, მაგრამ არანაკლებ სიძლიერის ტანმოვარჯიშეებით არის დაკომპლექტებული უკრაინის, რსფსრ-ის, ბელორუსიისა და ლენინგრადის გუნდები. რაც შეეხება ჩვენს ტანმოვარჯიშეებს, რომელთა უფროსობას ახალგაზრდობა წარმოადგენს, მათ შეუძლიათ იბრძოლონ სპარეზო ადგილებისათვის.

დღეს დილით სავალდებულო პროგრამით გამოდიოდნენ ვაჟები. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში არიან ბ. ბობუსი, ა. ბნოლიძე, კ. ლუდუშაური, გ. ლოლაძე, ა. ნუზაძე, და ა. ძმსუზიანი. ქალთა გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება — რ. ბერიკაშვილი, მ. ბობოლიბეგოვა, გ. ჯინჭარაძე, ლ. ლაფისტოვა, მ. მონიავა, რ. სიხარულიძე.

დღეს ბრძოლაში ჩაებნენ აგრეთვე თავისუფალი სტილის მოჭიდაოვები. სწორედ ამ სახეობაში ჩვენი სპორტსმენებისაგან უნდა მოველოდეთ წარმატებებს და მეტ ქულებს. ასპარეზობა მიმდინარეობს ისეთივე სისტემით, როგორითაც მოეწყო კლასიკურ ჭიდაობაში.

სპარტაკიადის ჩემპიონობისათვის ბრძოლას შეუდგნენ ტყვიის ხელთამანის ოსტატები — მოკრივეები. გიმნართა წინასწარი თითო შეხვედრა ყველა წონაში.

ყურადღებას იქცევს ცხენოსანთა ასპარეზობა. ამ სახეობაში შეჯიბრება დღეს დაიწყო. თამაშდება სამჭიდაო ულოსი ასაკის ცხენებისათვის.

22 ივლისს შედგება შეხვედრები სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ათ სახეობაში. მათ შორის სტარტს პირველად აიღებენ მესტენდურები და მოფარიკავეები.

3. გაბელია.

სპარტაკიადის ტაბლო

ქულები, ადგილები

მდგომარეობა 21 ივლისისათვის

1. რსფსრ — 966,5 ქულა
2. უკრაინა — 951,5
3. მოსკოვი — 825,5
4. ლენინგრადი — 563
5. ბელორუსია — 490
6. საქართველო — 423,5
7. ლატვია — 271
8. ყაზახეთი — 256
9. ესტონეთი — 240
10. ლიტვა — 200,5
11. აზერბაიჯანი — 124,5
12. მოლდავეთი — 115
13. უზბეკეთი — 90
14. ყირგიზეთი — 75
15. სომხეთი — 58,5
16. ტაჯიკეთი — 32,5
17. თურქმენეთი — 7,5

ერთეული ამოინურა ჩემპიონატის წრე

„ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდა. როგორ მოვიდნენ გუნდები გათამაშების შუა ფინიშთან?

ჩემპიონატს ლიდერობს მოსკოვის „ლოკომოტივი“, რომელსაც 32 ქულა აქვს (13 მოგება, 6 ფრე, 2 წაგება), მეორე ადგილზეა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ — 28 ქულა (11-6-4), ცხრილის მესამე საფეხური უჭირავს ივანოგოს „ტექსტილშჩიკს — 27 ქულა (8-11-2). 27 ქულა აქვს აგრეთვე ოდესის „ჩერნომორეცს“ (10-7-4), ოღონდ გატანილი და მიღებული ბურთების უარესი სხვაობით. ლიდერთა ჯგუფს ოთხი ქულით ჩამორჩება ყარაგანდის „შახტიორი“.

21-21 ქულით თანმიმდევრულად მე-6 — მე-10 ადგილები უჭირავთ ლენინგრადის „დინამოს“, სვერდლოვსკის „ურალმაშს“, ვილნიუსის „ჟალგირისს“, ქუთაისის „ტორპედოს“ და იაროსლავლის „შინიკს“. ცხრილში ბოლო, 22-ე ადგილზეა ყაზანის „რუბინი“.

მეორე წრის პირველი მატჩები გაიმართება 24 ივლისს.

ფიშერი—ფინალში

რობერტ ფიშერი გავიდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის დასკვნითს ეტაპზე. მან ამერიკის ქალაქ დენვერში ნახევარფინალური მატჩი მოუგო დანიელ ბენტ ლარსენს ანგარიშით 6:0. ფიშერის მეტოქე იქნება მოსკოვის ნახევარფინალის გამარჯვებული — ან ტიგრან პეტროსიანი ან ვიქტორ კორჩნოი.

დენვერის მატჩის მეექვსე პარტია, ისევე როგორც წინა პარტიები, მწვავე და საინტერესო იყო. სპეციალისტთა აზრით, ეს იყო ლარსენის საუკეთესო პარტია. იგი თეთრებით თამაშობდა და აირჩია ბერდის დებიუტი, რომელიც ფიშერის შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ სიცილიურ დაცვაში გადავიდა.

თეთრები შეეცადნენ სწრაფად შეეტიათ მეტოქისათვის, ამიტომ შეწირეს ჯერ ერთი, შემდეგ მეორე პაიკი. მათი ლაზიერი და კუ აქტიურად მოქმედებდნენ შავების მეფის ფლანგზე.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მატჩში პირველად აღმოჩნდა ფიშერის პოზიცია ეხოდენ ძლიერი იერიშების წინაშე. მაგრამ იგი ოსტატურად იცავდა თავს.

ექსპერტების აზრით, დანიელს რამდენჯერმე ჰქონდა შანსი ყაიმით დაემთავრებინა პარტია, მაგრამ მაინც გამარჯვების გზას ეძებდა და ძალზე აზარტულად უტევდა მეტოქეს. შავებმა თანდათანობით გაანეიტრალეს მუქარა.

შემდეგ ფიშერმა გაცვალა ლაზიერი და მის მხარეზე აღმოჩნდა უპირატესობა ორი პაიკის სახით.

ორმოცდამეერთე სვლაზე, როცა საკონტროლო დრო ამოიწურა, ლარსენმა იარაღი დაჰყარა.

ამჯერად მეტოქენი ორთაბრძოლის შემდეგ დარჩნენ „ტემპლ ბიუელ კოლეჯის“ სცენაზე და გააანალიზეს ბოლო პარტია. (საკადისი).

ზაფხულია, პიონერული ზაფხული!

სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კიკეთის პიონერულმა ბანაკმა პიონერთა მეორე ნაკადი მიიღო. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ ბანაკში სოფლის მშრომელთა ბავშვები. ისინი მხიარულად და საინტერესოდ ატარებენ საზაფხულო არდადეგებს: ლაშქრობები, ექსკურსიები, შეჯიბრებები და სხვადასხვა ფრეში მეცადინეობა ავსებენ დღეებს ბანაკში. შესანიშნავი ბუნება, საინტერესო მოგზაურობები დიდხანს ემახსოვრებათ მზემოკიდებულ და კარგად დასვენებულ ბავშვებს. **სურათებზე:** მარჯვნივ — ექსკურსიაზე; მარცხნივ ზემოთ — მზადდება პიონერული გაზეთის ახალი ნომერი.

ფოტო ი. მღებრიშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ვინ იცნობდა ირინე სხირტლაძეს

გმირი გოგონა

ახალი ცნობა კოლონეთში დაღუპულ ქართველ გმირ ქალიშვილზე

ამ ერთი თვის წინათ პოლონელი ქართველოლოგის იან ბრაუნის მიწვევით ვარშავაში იმყოფებოდა თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტი გიორგი კაჭარავა. მას უკვე ჩვენი გაზეთის 1969 წლის 13 სექტემბრისა და 1971 წლის 27 იანვრის ნომრებში გამოქვეყნებული წერილების საშუალებით გაგებული ჰქონდა ვარშავის 1944 წლის აჯანყების მონაწილის ქართველი ქალიშვილის ირინე სხირტლაძის გმირობის ამბავი. პოლონეთში ჩასვლისთანავე ქართველმა მეცნიერმა გადაწყვიტა ახალი ცნობები შეეკრიბა უცხო მიწაზე სასახელოდ დაღუპული ჩვენი თანამემამულის შესახებ.

ამ დღეებში გ. კაჭარავა რედაქციაში გვესტუმრა და გვაბარა მის მიერ მიკვლეული მასალებზე.

აი მისი მონათხრობი:

— ვარშავაში ჩემი ჩასვლა დაემთხვა მოსაღამე გამოცდებს აქაურ უნივერსიტეტში. იან ბრაუნი მიმღები კომისიის თავმჯდომარე იყო ორიენტალისტიკის ინსტიტუტში. ის ძალიან დატვირთული იყო, მაგრამ ჩემთვის დრო მაინც გამოყო, რომ წვეულებრივ ირინე სხირტლაძის სასაფლაოზე. ჩვენთან ერთად იმყოფებოდა იანის შეგობარი ინჟინერი პეტრე მარჩინსკი.

იანმა მიგვიყვანა ირინეს საფლავთან. იგი განისვენებს იმ მებრძოლთა გვერდით, რომლებმაც უკვდავი სახელი მოიხვეჭეს ვარშავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მაღლიერი პოლონელი ხალხი სიყვარულით იგონებს ამ გმირებს და დიდებით მოსავს მათს სახელებს. მელეკვარებთ ვკითხულობთ პოლონურ წარწერას საფლავის ქვაზე: „ირინე სხირტლაძე, ირკა, მსროელი. 16 წლის. დაჯილდოებულია მამაცობის ჯვრით. დაიღუპა 14. IX, 1944“...

ვიდექი საფლავთან და გული დამწყდა, რატომ არ წამოვიღე საქართველოდან ერთი მუჭა მიწა, რომ ამ გოგონას საფლავზე მოვბნია. იანმა თითქოს ჩემი გულისთქმა გაიგო, დაიხარა ირინეს საფლავთან, იქიდან მიწა აიღო და გამომიწოდა. მე საათუთად შევინახე პატარა კოლოფში. დღეს იგი თბილისში მაქვს, როგორც ძვირფასი მოსაგონარი.

იანს ვკითხე, ხომ არაფერია ახალი ცნობები ირინეზე-მეთქი. მან მიპასუხა, რომ ვარშავის საღამოს გაზეთმა გადაბეჭდა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი. შემდეგ ამ გაზეთის თანამშრომელი პაიდა განაგრძობდა ი. სხირტლაძეზე ცნობების შეკრებას და რა შედეგს მიაღწია, ჯერ არ ვიცი. ჩემი თხოვნით იანმა დაურეკა გაზეთ „ექსპრეს ვიეჩორნის“ რედაქტორს, რომელმაც სანუგეშო ვერაფერი გვითხრა. აღმოჩნდა, რომ პაიდა ერთი თვით წასულიყო ვარშავიდან. შემდეგ გავემგზავრეთ „ზბოვიდში“ — თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა კავშირში, რათა იქ დაგვხმარებოდნენ ირ. სხირტლაძის ცოცხალ თანამებრძოლთა ძებნაში. დიდად დავალებული ვართ და არ შემიძლია ულრმესი მადლობით არ მოვიხსენიო ამხანაგი დომროვსკი, რომლის მეშვეობით დავადგინეთ ირინეს თანამებრძოლის, მისი დაღუპვის უშუალო მოწმის ვიესლავა კამპერ-გლიშჩინსკას ადგილსამყოფელი.

ვარშავიდან ჩემი

სურათზე: ირინე სხირტლაძის საფლავი.

ფოტო გ. კაპპარავასი.

ავტომანქანა და ქვეითად მოსიარულე

როცა სახლიდან გამოვდივართ...

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რამდენჯერმე იმსჯელეს ქუჩაში მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების გადასაწყვეტად და მიიღეს დადგენილებანი, რომელთა განხორციელებამ ხელი შეუწყო ავტოსაგზაო შემთხვევებისა და მისგან გამოწვეული შედეგების შემცირებას.

მაგალითად, გასულ წელთან შედარებით ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა შემცირდა 131-ით, გარდაცვლილთა რაოდენობა 27 კაცით, დაჭრილთა — 203-ით. ეს მაშინ, როდესაც ავტოტრანსპორტის რაოდენობა შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

ავტოსაგზაო შემთხვევათა შემცირებას პირველ რიგში ხელი შეუწყო, იმ გარემოებამ, რომ სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და ფართო საზოგადოებრიობამ მეტი ყურადღება დაუთმო ავტოტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოდ მოძრაობას.

ყველა კონკრეტული საკითხის გადაწყვეტას ყოველდღიურად ხელმძღვანელობს საგანგებოდ შექმნილი უსაფრთხო მოძრაობის რესპუბლიკური კომისია. კომისიის შექმნა გამოწვეული იყო იმით, რომ უსაფრთხო მოძრაობის პრობლემები სცილდება ცალკე აღებული რომელიმე უწყების უფლებებს და წარმოადგენს საერთოსახელმწიფოებრივ საქმეს.

რესპუბლიკის ავტოინსპექციასთან შექმნა სპეციალური სამორიგეო ნაწილი, რომელსაც დავალებული აქვს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზის ანალიზი და ღონისძიებების გატარება, რაც შემდეგში გამორიცხავს ავარიული შემთხვევების გამეორებას.

საგრძნობლად გაუმჯობესდა მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებისა და მოძრაობის ორგანიზაციის საკითხები. ყოველწლიურად 500 ტონამდე სპეციალური საღებავი იხარჯება გზებისა და გზაჯვარედინების მონიშვნისათვის, რაც საშუალებას იძლევა მოძრაობა უფრო უსაფრთხო იყოს. გაუმჯობესდა აგრეთვე თანამედროვე საგზაო ნიშნების გამოშვება. ამჟამად მარტო თბილისში 300 ახალი ტიპის ნიშანია, რომლებიც მსოფლიო სტანდარტს შეეფარდება და წლის პოლომდე მათი რაოდენობა 2000 მიაღწევს.

საავტომობილო გზების სამინისტროსა სპეციალურმა კომისიამ რესპუბლიკის ავტოინსპექციის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და დიტალურად შეამოწმა საქართველოს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საავტომობილო გზა და შეიმუშავა ერთობლივი ღონისძიებანი ამ გზების კეთილმოწყობისა და საგზაო ნიშნების წესრიგში მოყვანისათვის.

ზემოთჩამოთვლილი ყველა ღონისძიების შედეგად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ავტოშემთხვევების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო. განსაკუთრებით ეს იგრძნობა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, გურჯაანის, მარნეულის, ფოთის, თელავის, სიღნაღის, ასპინძის გზებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით აბაშის, საჩხერის, მესტიის, გორის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, წალკის, ქარელის, ჩხოროწყუს, წითელწყაროს, თიანეთის რაიონებზე. საგზაო შემთხვევები კვლავ განსაკუთრებით ხშირია საზღვრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გზებზე.

ხშირად უბედურებისა და ავარიის მიზეზი თვით ქვეითად მოსიარულენი ხდებიან. მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ჩვენში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებიდან 225 ქვეითად მოსიარულეთა მიზეზით არის. ამათგან 52 მოქალაქე მთვრალი იყო. ქვეითად მოსიარულეთაგან ამ ხნის მანძილზე გარდაიცვალა 61 კაცი, ხოლო 183 მიიღო სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება.

თბილისში ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ბევრი რამ გაკეთდა. აშენდა მიწისქვეშა გადასასვლელები, ლამაზი ჯიბირებით გაიმინჯა ქუჩები ტროტუარებისაგან, შესაძლებელად მოინიშნა ქუჩაზე გადასასვლელები, დაიდგა შუქნიშნები. მაგრამ ზოგიერთი მოქალაქე არად აგდებს მისივე უსაფრთხოებისათვის გაწეულ შრომას და თავისი დაუდეგარი მოქმედებით საფრთხეს უქმნის საკუთარ თავსაც და გარშემო მყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ასე მოხდა 8 ივლისს დილის თერთმეტ საათზე ლენინის ქუჩაზე, იქ, სადაც რამდენიმე მეტრზე მიწისქვეშა გადასასვლელია, თბილისში, მცხოვრებმა 58 წლის მოქალაქე გიორგი დავითაშვილმა უურადღება არ მიაქცია უშუალოდ ნაკადად მომდინარე ტრანსპორტს და ქუჩის გადაკვეთა სცადა. შუა ქუჩამდე არ იქნებოდა მისული გ. დავითაშვილი, რომ მას „ჟიგულის“ მარკის ავტომობილი დაეჯახა. დავითაშვილი ცოტა ხანვამიც გახლდათ. თავისივე დაუდევარი მოქმედებით მოძრაობის წესების დამრღვევი მძიმედ დაზიანებული მოქალაქე საავადმყოფოში მოხვდა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვარკეთილის მასივიდან ქალაქის პირველ საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს მხატვრული ფილმი „ჩვენ და ვულკანი“, 19.45 — ცოცლიდან „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები მოქმედებაში“. „მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა“, 20.00 — „კინონარკვევი — „ეს ყველამ უნდა იცოდეს“, 20.10 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 20.40 — დოკუმენტური ფილმი — „ვერაგული მეგობრობა“ (ქართული ენაზე), 21.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.50 — ლიტერატურული გადაცემა — „ქართველები ირანში“, 22.25 — სპარტაკიადის დღიური, 22.30 — „ფორსაიტების საგა“. ინგლისური

რა ვნახოთ, რა ვოვისმინოთ

ტელევიზია

22 ივლისი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო ფილმი — „ზარი ღამით“, 12.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე. თავისუფალი ჭიდაობა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.05 — ახალი ამბები, 18.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ბავშვებისათვის — „კინოდარბაზი“. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი (პრმიერა XIII სერია, 23.50 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

23 ივლისი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი, 11.50 — ქართული მხატვრული ფილმი — „ბაში-აჩუკი“, 13.20 — „საბჭოთა კავშირი საერთაშორისო გამოფენებზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.35 — ახალი ამბები, 17.40 — განცხადებები, 17.45 — ბავშვებისათვის— „ნაკადულის“ საჩუქარი, 18.15 — „სკკპ XXIV ყრილობა საერთაშორისო ვითარების შესახებ“, 18.45 — „აბიტურიენტი-71“. — „გამოცდების წინ“, 19.25 — მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკური სატელევიზიო ფესტივალი (ბორჯომი, ლანჩხუთი), 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „კინონობიერტიი“, 23.15 — სპარტაკიადის დღიური.

მეორე პროგრამით

19.00 — დოკუმენტური ფილმი, 19.30 — განცხადებები, 19.35 — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები მოქმედებაში „მეხუთე დღე“. (17 ივლისის გადაცემის გამეორება), 19.55 — კინონარკვევი, 20.15 — ქართული მხატვრული ფილმი — „ბაში-აჩუკი“.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 24 ივლისს.

დამაჯერებელი გამარჯვება

ვლადიმირი. (ჩვენი სპეც. კორ.). ვერ ვიტყვით, რომ ჭადრაკში ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალებმა ჩვენი რეპუბლიკის წარგზავნილებს დიდი წარმატება მოუტანა. ექვსი მოჭადრაკიდან ფინალში გავიდა მხოლოდ ერთი — ოსტატი ც. კობაიძე. სამაგიეროდ ც. კობაიძემ ეს გამარჯვება ფრიად დამაჯერებლად მოიპოვა— 13 შესაძლებლიდან 9 ქულა. მან პირველი-მესამე ადგილები გაიყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონთან გოგონათა შორის ტ. ფომინასთან (ტალინი) და ახალგაზრდა ოსტატ ლ. სემიონოვასთან (კიევი). ამასთან კოეფიციენტების ცხრილში უპირატესობის გამო ც. კობაიძეს პირველი პრიზი მიენიჭა.

კობაიძის გამარჯვება სავსებით დამსახურებულია. მან ფინიშზე დიდი შეუპოვრობა გამოავლინა და იმ მომენტში, როცა ყველაფერი დაკარგული ჩანდა, ზედიზედ მოიგო 3 უკანასკნელი პარტია! ვლადიმირის გაზეთმა „პრიზივმა“ და საკავშირო საჭადრაკო პრესამ აღნიშნეს ციური კობაიძის დიდი წარმატება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ახალგაზრდა ოსტატის პირველი სერიოზული გამარჯვება როდია. ადრე ც. კობაიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო გოგონათა შორის, მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდებაც. წლეულს ნიჭიერმა მოჭადრაკემ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა!

ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალი იწყება სოჭში 1 ოქტომბერს. მასში პერსონალურად მიწვეულნი არიან მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები ნ. ალექსანდრია, ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია, მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის მონაწილენი ნ. კონოპლიოვა, ვ. კოზლოვსკაია, ე. რუბცოვა, ქალთა უკანასკნელი საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი მ. რანიკუ. როგორც ვხედავთ, ფინალი ფრიად საინტერესო უნდა იქნეს.

რამდენიმე სტრიქონით

● **თბილისის** „ლოკომოტივის“ სტადიონზე 20 ივლისს ფინიში ჰქონდა „ტყვიის ბურთის“ რესპუბლიკურ გათამაშებას ფეხბურთში უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმის „წითელი ეშმაკუნებისა“ და ქუთაისის „კალენდარი“ გუნდები. თამაშის ძირითად დროს გამარჯვებული არ გამოვლენილა — 1:1. დაინიშნა 11-მეტრიანების სერია. 66 პენალტი დასჯირდა ჩემპიონის გამოვლენას — ქუთაისელმა ნორჩმა სპორტსმენებმა მხოლოდ მესამე სერიაში მიაღწიეს წარმატებას — 9:7 (6:6 და 9:9). „წითელი ეშმაკუნები“ მეორე ადგილზეა, მესამეზე — სოხუმის შევარდენი.

● **დევისის** თასის გათამაშების ევროპის ზონის ორივე ქვეჯგუფში დამთავრდა ფინალური მატჩები. „ა“ ჯგუფში ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელებმა პრაღაში მწვავე ბრძოლაში დაამარცხეს ესპანელი სპორტსმენები — 3:2. „ბ“ ჯგუფში ერთმანეთის შეხვდნენ რუმინელები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩოგბურთელები. ბუქარესტში გამართულ ასპარეზობაში მასპინძლები აღმავლობით იბრძოდნენ და სუფთად მოიგეს — 5:0.

● **ივლისი** წარმატებების თვედ ლაფდა იჩალიელ მოცურავე ჭალს ნოველა კალიარისს. ჯერ იყო და მან ევროპის რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 9.23,8, ხოლო შემდეგ 1.500 მეტრზეც — 17.51,1. ასოახან კი ქალაქ ბოლტანთინი გამარჯვა საერთაშორისო ასპარეზობაზე მან 400 მეტრი გაიცურა 4 წუთსა და 31,9 წამში, რაც ერთი წამითა აღემატება ჯერ-ის სპორტსმენის ელკი ზემიშის შარშანდელ ევროპის რეკორდს.

ხიცხლემ იმატა...

უკვე რამდენიმე დღეა პაპანაქებაა. სად როგორი ტემპერატურაა? აი რას გვატყობინებს ამის შესახებ თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი ნ. ძამაშვილი.

— 16 ივლისიდან ჩვენს რესპუბლიკაში ტემპერატურამ საგრძნობლად იმატა. თბილისში, გარდაბანში და კახეთის რაიონებში 20 ივლისს, მაგალითად 36-37 გრადუსი იყო.

შედარებით გრილა დასავლეთ საქართველოში. ქუთაისში, გაგრაში, ბათუმში 28-29 გრადუსია.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ალაგ-ალაგ ელჭექი, უმეტესად სანაპირო რაიონებში. ტემპერატურა დღისით 26-29 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში იქნება ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის ქარი. ტემპერატურა ბარში — 32-37, მთაში 20-25 გრადუსი.

თბილისში უნალექო ამინდია მოსალოდნელი, ჩრდილო-დასავლეთის ზომიერი ქარი, ტემპერატურა 35-37 გრადუსი.

მომდევნო ორ დღეს საქართველოში იგივე ამინდი იქნება.

რედაქტორი

დ. მჟელიშვილი.

„კომუნისტი“ 380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99.55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის— 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-23-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60143 УЭ 07716

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.